**ქალაქ თბილისის საკრებულოს**
**სატრანსპორტო საკითხთა კომისიის**
**სხდომის ოქმი №18**

17.11.2022 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
13:00 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. გურამ ოქროპირიძე - კომისიის წევრი;
4. მარიამ ზაქარიაშვილი - კომისიის წევრი;
5. სალომე კობალაძე - კომისიის წევრი;
6. მიხეილ კაკაურიძე - კომისიის წევრი;
7. ანა გოგოლაძე - კომისიის წევრი.

**სხდომის დღის წესრიგი:**

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032231961-03; 15.11.2022).**

**მომხსენებლები:**

- **გაიოზ თალაკვაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
- **ლევან მიქავა** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
- **დავით ჯაიანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**შ.ოგბაიძემ** სხდომა გახსნილად გამოაცხადა და მომხსენებლებს სთხოვა წარედგინათ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

**გ.თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა **1 438 775,2 ათასი** ლარით, რაც 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 305 418,2 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია **133 357,0 ათასი** ლარით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - **415 096,4 ათასი** ლარით.
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება - **223 813,7 ათასი ლარით.**
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - **169 251,7 ათასი ლარით.**
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - **1 879,5 ათასი ლარით.**
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - **38 696,3 ათასი ლარით.**
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - **144 160,7 ათასი ლარით.**
- განათლება - **224 917,8 ათასი ლარით.**
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - **43 031,4 ათასი ლარით.**
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - **6 436,8 ათასი ლარით.**
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - **171 490,9 ათასი ლარით.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია **1 154 820,1 ათასი** ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება **98 465,6 ათასი** ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია **170 334,1 ათასი** ლარი, პროცენტი **20 583,0 ათასი** ლარი, სუბსიდიები **590 300,2 ათასი** ლარი, გრანტები **471,5 ათასი** ლარი, სოციალური უზრუნველყოფა **136 053,3 ათასი** ლარი, სხვა ხარჯები **138 613,6 ათასი** ლარით.

2023 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა **38 244,4 ათასი** ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლები განსაზღვრულია **1 383 675,2 ათასი** ლარით, სხვა შემოსავლები **229 845,4 ლარით.** მათ შორის, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე (შემოსულობების კოდი: 14223993) **1,095.0 ათასი** ლარით. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი შეადგენს **270 000,0 ათას** ლარს, ხოლო გრანტები **314 962,2 ათას** ლარს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით, ასევე გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა. ვალის საპროგნოზო მოცულობა 2023 წლის ბოლოსთვის განსაზღვრულია **643 152,7 ათასი ლარის** ოდენობით. მათ შორის:

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 42) 12,426,3 ათასი** ლარით.პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის (euro 6) ადაპტირებული ავტობუსებით.

- თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა **(კოდი 10 47) 23,160,8 ათასი** ლარით. პროგრამა ემსახურება დედაქალაქის სატრანსპორტო პარკის განახლების მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება საქალაქო ტრანსპორტის პარკის განახლება/შევსება ახალი ევროპული ტიპის ადაპტირებული ავტობუსებით. ასევე, ავტობაზის მშენებლობა.

- თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება **(კოდი 10 48) 12,448.4 ათასი ლარით.** პროგრამა ემსახურება მეტროს რეაბილიტაციის მიზნით, თბილისის მერიის მიერ აღებული სესხის დაფარვას. პროექტის ფარგლებში, განხორციელდება ახალი, თანამედროვე, ევროპული სტანდარტის მეტროს ვაგონების შესყიდვა, დეპოს და შემაერთებელი გვირაბის რეაბილიტაცია.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი - **555,0 ათასი ლარი** გათვალისწინებულია გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის განსახორციელებლად.

პროექტის თანახმად, 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განსაზღვრულია **2,500.0 ათასი ლარის** ოდენობით.

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, **ტრანსპორტის განვითარების პროგრამა (კოდი 01 02)** განსაზღვრულია **330,357.0 ათასი** ლარით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია შემდეგი ქვეპროგრამების დაფინასება:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები **(კოდი 01 02 01**) **30,357.0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას: საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შეძენა, მონტაჟი-დემონტაჟი, მოვლა-შენახვის და ექსლუატაციის სამუშაოები. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მიმართულების წინასწარი მაჩვენებლების დამზადება, მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოები. დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული შუქნიშნების და მათი მოწყობილობების მოვლა-შენახვა-ექსპლუატაციის მომსახურება. ავტობუსის გაჩერებებზე მგზავრთა მოსაცდელების მოწყობის სამუშაოები. ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეოკამერის ვიდეოანალიტიკურ პროგრამა ISS SecureOS-ში ეფექტურად ფუნქციონირებისთვის საჭირო სერვერების სახელმწიფო შესყიდვა. თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში ავტობაზის მშენებლობისათვის დამატებითი ღირებულების გადასახადი და სხვა ღონისძიებები.

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) **20,000,0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია თბილისის მეტროს პროექტის ფარგლებში ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შეძენასთან დაკავშირებით დამატებული ღირებულების გადასახადი.

- მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა **(კოდი 01 02 03) 4,000.0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მეტროსადგურ ვარკეთილის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია (კოდი 01 02 05) **276,000.0 ათასი** ლარით. ქვეპროგრამის მიზანია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრობის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიის სახით დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები. ასევე, დაფინანსდება რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების სრულყოფილი ფუნქციონირების ხარჯები.

- პროექტის თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) დაფინანსებულია **6,579.2 ათასი ლარით.**

ბიუჯეტის პროექტის თანახმად, გზების მშენებლობა და აღდგენის ქვეპროგრამის (კოდი 01 01 01) ფარგლებში, გათვალისწინებულია ისეთი პროექტი, როგორიცაა, კრწანისის ქუჩის რეაბილიტაცია **2 575 058** ლარის ოდენობით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს თან ერთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების ანგარიში. ანგარიშის თანახმად, **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის** დაფინანსებამ 2022 წელს შეადგინა - **282,958.0 ათასი ლარი,** რაც გეგმის (297,832.4 ათასი ლარი) 95%-ია; აღსანიშნავია, რომ პრიორიტეტების მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის (9 თვე) შესრულების ანგარიშში სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენას 28.8% უჭირავს, რაც სხვა პრიორიტეტებთან შედარებით პროცენტულად ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

**შ.ოგბაიძე** - მიგვაჩნია, რომ მთლიანობაში, წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ფარგლებში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენის, მათ შორის, ტრანსპორტის განვითარების მიმართულებით დაგეგმილი/განსახორციელებელი ღონისძიებები კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად, რომლის ფარგლებშიც, განხორციელდება მასშტაბური სამუშაოები, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მეტროპოლიტენის, ავტობუსებისა და მიკროავტობუსების მომსახურების ხარისხი, საგზაო ინფრასტრუქტურა და სატრანსპორტო ნაკადების მართვის სისტემა. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მგზავრთა უსაფრთხო, კომფორტულ და სწრაფ გადაადგილებას. თუმცა, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ქვეპროგრამისთვის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი: 01 02 02) განსაზღვრულია 20,000,0 ათასი ლარი და ქვეპროგრამის ფარგლებში, გათვალისწინებულია თბილისის მეტროს პროექტით ახალი თანამედროვე ევროპული სტანდარტების მეტროს ვაგონების შეძენასთან დაკავშირებით დამატებული ღირებულების გადასახადი. ვინაიდან, მგზავრთა მომსახურებისა და უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2023 წლისთვის უნდა მოხდეს M3 კატეგორიის 18 მეტრიანი ავტობუსების შეძენა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციის ქვეპროგრამის (კოდი 01 02 02) ფარგლებში დამატებითი თანხების გათვალისწინება.

გარდა ამისა, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის ქვეპროგრამისთვის (კოდი 01 02 05) გათვალისწინებულია 276,000.0 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში, სუბსიდიის სახით დაფინანსდება რეგულირებად ეკონომიკურ სფეროში

მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტრო) და „უნივერსიტეტი-ბაგები“ საბაგიროს ხარჯები. ასევე, რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მომსახურების ხარჯები. აღნიშნული ღონისძიებების სრულყოფილად განხორციელების მიზნით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უნდა მოხდეს ქვეპროგრამისთვის დამატებითი თანხების გათვალისწინება.

კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

**ა.გოგოლაძე** დაინტერესდა, რამდენი ერთეული ავტობუსი დაემატება ავტობუსების პარკს.

**გ. თალაკვაძის** განმარტებით, შესაბამისად ავტობუსების რაოდენობა დამოკიდებულია მომწოდებლის მიერ შემოთავაზებულ ფასზე.

**მ. კაკაურიძე** დაინტერესდა მეტროსადგურების რეაბილიტაციის საკითხით.

**დ.ჯაიანის** განმარტებით, 2023 წლისთვის დაგეგმილია 12 მეტროსადგურის რეაბილიტაცია, ამჟამად დასრულებულია წინასწარი კვლევა.

კითხვების ამოწურვის შემდეგ, **შ. ოგბაიძემ** კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი და ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 4, თავი შეიკავა - 3, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი“ მოცემული შენიშვნების გათვალისწინებით, გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე